საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030188514847720

№ 01-482/ო **24 / სექტემბერი / 2020 წ.**

ახალი კორონავირსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევების კლინიკური აუდიტის ჩატარების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ახალი კორონავირუსის (COVID-19) შემთხვევების მართვის ხარისხის შეფასების და საერთაშორისო ან/და ეროვნული მკურნალობის სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) (შემდგომში - COVID-19) შემთხვევების კლინიკური აუდიტი (შემდგომში -„კლინიკური აუდიტი“), სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში, ამ ბრძანების შესაბამისად.

2. კლინიკური აუდიტის პროცესის კოორდინაცია/მონიტორინგი განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მიერ, სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოსა და სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით.

3. კლინიკური აუდიტი განხორციელდეს მოწვეული ექსპერტების ჯგუფის (შემდგომში - „აუდიტის ჯგუფი“) მეშვეობით, რომელთათვის აუცილებელი მოთხოვნაა COVID-19-ის კლინიკური მართვის გამოცდილება, ასევე, პრაქტიკული მუშაობის და ექსპერტული გამოცდილება შინაგანი მედიცინის, ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგიის, ინფექციურ სნეულებათა სპეციალობის ეპიდემიოლოგიის მიმართულებით.

4. აუდიტის მიზნებისთვის, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამედიცინო დოკუმენტაცია COVID-19-ის შემთხვევების განხილვის მიზნით, მობილიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში, ,,პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. კლინიკური აუდიტის ჩატარების მიზნით, აუდიტის ჯგუფი უზრუნველყოფს:

ა) კლინიკური აუდიტის განხორციელების მეთოდოლოგიის შემუშავებას სამინისტროსთან შეთანხმებით;

ბ) სტაციონარული დაწესებულებების რანდომულ შერჩევას COVID-19 - ის შემთხვევების სტაციონარული მკურნალობისთვის მობილიზებული სამედიცინო დაწესებულებების სიიდან, სამინისტროსთან ერთად;

გ) შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებაში COVID-19-ის იმ სამიზნე შემთხვევების რენდომულ შერჩევას (მიმდინარეობის სიმძიმის, ასაკის, თანმხლები დაავადებების გათვალისწინებით), რომელთაც უნდა ჩაუტარდეს კლინიკური აუდიტი.

6. აუდიტის ჯგუფი კლინიკურ შემთხვევებსა და მართვის ტაქტიკას მიმოიხილავს აუდიტს დაქვემდებარებულ დაწესებულებასთან ერთად და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, ამზადებს რეკომენდაციებს COVID-19 - ის შემთხვევების მართვის ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე.

7. კლინიკური აუდიტის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ, ეთიკური ნორმებისა და კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, აუდიტის პროცესში მონაწილე ექსპერტი ხელს აწერს გაუთქმელობისა და ეთიკური ნორმების შესრულების თაობაზე შეთანხმების ფორმას, ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართის შესაბამისად.

8. აუდიტის პროცესში ექსპერტების ფინანსური მხარდაჭერა ეთხოვოს შესაბამის დონორ ორგანიზაციას.

9. აუდიტის ჯგუფმა საქმიანობის მიმდინარე და საბოლოო ანგარიში წარმოუდგინოს სამინისტროს.

10. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ - თამარ გაბუნიამ.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე